გაზეთი ღირს

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ-დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეკი.

1877—1892 სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1892



ზაქარია გიორგის ძე მაღალაშვილი და ივანე პავლეს ძე ემელიანოვი ნათესავებითურთ გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებასა პირველი მეუღლისა და მეორე დისა თვისისა რაისა მაღალაშვილისას და სთხოვენ მობრძანდნენ მიცვალებულის გამოსვენებაზედ პარასკევს, 31 იანვარს, დილის 9 საათზე, ანჩისხატის ტაძარში და პანაშვიდზედ ხუთშაბათს, 1 საათზე და საღამოს 7 საათზე, პოლიციის ქუჩაზე, კუზინოვის სახლში № 30.

## ქ. ოზურგეთში

ესმა გიორგის ასული ქიქოძე, რომელსაც ტფილისის სახელოსნო გამგეობისაგან თავის ხელობის რიგიანად ცოდნის შესახებ ატესტატი აქვს, მსურველთ ასწავლის ჭრა-კერვასა და ყოველსავე ხელობას, რაც-კი ქალის ტანისამოსის შეკერვას შეეხება. შეგირდებს იღებს სამის თთვის ვადით იმ პირობით, რომ ზემოთქმული ხელობა ამ ხნის განმავლობაში სრულიად დაასწავლოს. სასყიდლად სამისავე თთვისათვის მხოლოდ ოცს მანეთს სჯერდება.

ამასთანავე შესაძლოა ქალის ტანისამოსის შესაკერავად მასვე მიჰმართონ. ყოველსავე შეკვეთას ზომიერ ფასად და დროზე ასრულებს. (6—2)

## კბილის ექიმი
## ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 10 საათამდე.
საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

კვირა-უქმე დღეებში

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (150—15)

წიგნების გამომცემ ქართველთა ამხანაგობის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ ამხანაგობის აგენტებად დანიშნულნი არიან: ბაქოში ბ. ივანე რატიშვილი (მასწავლებელი), ახალქალაქში ბ. პარმენ ჯავროვი და ახალ-სენაკში ბ. ბესარიონ მიქაძე. (3—3)


## ახალი ამბავი

*** გორიდამ გვწერენ დეპეშით, სამხედრო სასამართლომ ავაზაკთ: ტატე ჯიოშვილს, სანდრო ხუბულურსა და ალექსი ხასიშვილს სიკვდილით დასჯა მიუსაჯა ჩამორჩობითაო.

*** გუშინ-წინ, 28 იანვარს, ჰქონდა პირველი კრება „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ ახალს მმართველობას. ამ კრებაზედ მმართველობას თავმჯდომარის ამხანაგად ამოურჩევია მისი უგანათლებულესობა კნეინა პ. ა. ვიტგენშტეინი, ხაზინადრად—თ. დ. ფავლენიშვილი და მდივნად—ნ. მთვარელიშვილი.

*** ტფილისის პირუტყვთა მფარველმა საზოგადოებამ პირუტყვთა მზრუნველად თავისი წევრი გ. ს—ძე რევაზოვი დანიშნა, რომელსაც აგრეთვე ზედამხედველობა უნდა ჰქონდეს, რომ ავადმყოფი ცხენები არ ამუშაონ ცხენის რკინის გზებზე.

*** 30 იანვარს, საღამოს $7^1/_2$ საათზედ, დანიშნულია კერძო კრება კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოების წევრთა. კრებაზედ არა-წევრთ დასწრების ნება არა აქვთ. კრებამ უნდა განიხილოს: ა) მიმომდინარე საქმენი და ბ) „მოხსენება ტფილისის საბაღოსნო სასწავლებელთან ასაგებელ შენობათა შესახებ“.

*** 30 ამ თთვისას დანიშნულია საზოგადო კრება რუსეთის საიმპერატორო საგეოგრაფიო საზოგადოების კავკასიის განყოფილებისა. წევრი ხსენებულის საზოგადოებისა მთა-მადანის ინჟენერი ა. მ. კოშინი წაიკითხავს თავისს მოხსენებას—„о древнемъ теченіи рѣки Аму-Дарьи“ (მდინარეობა ძველს დროს მდინარე ამუ-დარიისა). თუ დრო დარჩათ ამავე, კრებაზედ წაკითხული იქმნება „საზოგადოების“ წევრის ნ. მ. ფილიპოვის წერილი—„რამდენიმე სიტყვა კასპიის ზღვის შესახებ“. კრებას შეუძლიანთ დაესწრნენ არა-წევრნიცა.

*** აქამდე ბ-ნ იაკობ გოგებაშვილის მიერ შედგენილ რუსულის ენის სახელმძღვანელოს „Русское Слово“-ს მხოლოდ პირველი ნაწილი იყო მოწონებული სახელმძღვანელოდ; დეკემბრის გასულს კავკასიის ოლქის სამოსწავლო სამზრუნველოს საბჭოს კრება ჰქონია, გაუსინჯავს ზემოხსენებულის სახელმძღვანელოს მესამე გამოცემა პირველის ნაწილისა და მეორე გამოცემა მეორე ნაწილისა და ორივე ნაწილი მოუწონებია სახელმძღვანელოდ. ეს გარდაწყვეტილება სამზრუნველო საბჭოსი უკვე დაუმტკიცებია კავკასიის მთავარ-მართებელს.

*** იმ კომმისიას, რომელიც ეჩმიაძინიდგან ტფილისში ჩამოვიდა იმის გამოსაძიებლად, სომეხთა კონსისტორია ბრალდებულია თუ არა ხიდის ჩატეხის საქმეშიო, უკვე გაუთავებია გამოძიება და ამ დღეებში ეჩმიაძინში დაბრუნდება. თავისს გამოძიებას ეს კომისია ეჩმიაძინის სომეხთა სინოდს წარუდგენს განსახილველად.

*** სომეხთა ეპარქიის უფროსის ეპისკოპოსის მამბრეს განკარგულებით, გამომძიებელ კომისიის თხოვნისამებრ, კონსისტორიის წევრნი დეკანოზნი გევონდ ტერ-გალუსტიანი და ტერ-გევონდ ხარაზიანცი გამორიცხულ იქმნენ კონსისტორიიდგან.

*** ოზურგეთი: რუსეთის შიდა გუბერნიების მოუსავლობით დაზარალებულ მკვიდრთა გაჭირვებულმა მდგომარეობამ ოზურგელთა გრძნობაზედაც იმოქმედა. რამდენისამე პატივცემულ მანდილოსანის თაოსნობით 25 ამ თთვისას ამ საკეთილო აზრით გაიმირთა საცეკვაო საღამო ბუფეტითა და ქაღალდის თამაშობით. სიმართლე უნდა ვაღიაროთ, რომ ძალიან ცხოვლად ჩაიარა ამ საღამომ: მრავალ-გვარი ცეკვა გააჩაღეს დამშეულთა სასარგებლოდ, მრავალ-გვარი სასმელი შესვეს, იმავე დამშეულთა სასარგებლოდ და, დასასრულ ლაზათიანადაც ივახშმეს, ალბად ისიც დამშეულთა სასარგებლოდ. სწორედ ნაშუაღამევის ექვსი საათი იყო, როცა ვახშმიდგან წამოიშალნენ და დასაძინებლად წავიდ-წამოვიდნენ.

*** იქიდამვე: ამას წინად აქ, შუაბაზარში, საღამოს რვა საათზე ექ. ვასაძის მაღაზია გასტეხეს და გაიტანეს ათ თუმნამდე ფულად და ამდენისავე საქონელი. ვასაძე ამ დროს ტფილისში იყო, ხოლო იმისი ნოქარი ვახშმის საჭმელად წასულიყო და მაღაზია ჩვეულებრივ დაეკეტა. მობრუნებისას ჰხედავს, რომ მაღაზია ღია არის. ფიქრობს, ალბად გასაღები კლიტეში დამრჩა და ვიღაცას გაუღიაო, მაგრამ გასაღები ჯიბეში აღმოუჩნდა და, ამას გარდა, წარმოიდგინეთ მისი გაოცება, მაღაზიაში ლამპარი ნახა ანთებული. მივარდა დახლს, ფული აღარ დახვდა, მიათვალ-მოათვალიერა მაღაზია და ეუცხოვა, რადგანაც აქა-იქ დაცალიერებული იყო. ქურდებს საუკეთესო საქონელი აერჩიათ. ამ ამბით დავთარ-დაბნეული ნოქარი გამოდის გარედ და, რაც ძალი და ღონე აქვს, ჰყვირის: მიშველეთ! ამ ყვირილზე მთელი ქალაქი ფეხზე დადგა, ადგილობრივი პოლიციაც მოვიდა და ოქმი შეადგინა. არავინ ფიქრობდა, თუ დამნაშავეთა აღმოჩენა შესაძლებელი შეიქნებოდა, თუმცა არც ის იყო საეჭვო, რომ ეგ

## ფელეტონი

პედაგოგიური საკვირველება

ანუ

Курсъ русскаго языка для грузинскихъ начальныхъ школъ, годъ первый, составилъ Ф. Левитскій

წერილი მესამე და უკანასკნელი *)

უვარგისობა სახელმძღვანელოსი გაგარეგანი ნაკლულევანებაა სკოლისა, დროებითი მოარული, შემთხვევითი მუწუკი, რომელსაც იგი დღეს, თუ ხვალ მოიშორებს. მასწავლებელიც არ არის უძლური ამ სენის წინაშე. როგორც მარჯვე მონადირე ხოცავს საკმარისს ნადირს უხეირო თოფითა, ისე გამოცდილს, მოხერხებულს და მხნე მასწავლებელს შეუძლიან საკმარისად შეათვისებინოს საგანი, თუნდაც სახელმძღვანელო ამ საგნისა იყოს ფრიად უკეთური. სრულიად სხვა უნდა ვსთქვათ სამოსწავლო გეგმის (учебный планъ) უკულმართობაზედ. იგი ორგანიული სენია სკოლისა, დამშრობია მისის სიცოცხლისა, გამქარწყლებელია მისის ნაყოფიერებისა. სამაგალითო სახელმძღვანელონი უძლურნი არიან მიეწიონ თავისს დანიშნულებას, თუ სკოლაში მოქმედებს უგუნური, პედაგოგიის წინააღმდეგი გეგმა. იგი ფუჭად აქცევს, ამაოდ ჩაატარებს იშვიათს მხნეობას და სიმარჯვეს თვით უნიჭიერესის მასწავლებლისას.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ბ-ნი ლევიცკი სცვლის სამოსწავლო გეგმას, მთავრობისაგან დადგენილსა. საითკენ და რა მიმართულებით?

მანამ ამას გამოვარკვევდეთ, საჭიროა მოკლედ გავაცნოთ მკითხველს ის სამოსწავლო გეგმა სახალხო სკოლებისა, რომელიც აგერ ათი წელიწადია გამოცემულია მთავრობისაგან კავკასიის სახალხო სკოლების სახელმძღვანელოდ.

ამ გეგმის ძალით და მოთხოვნილებით პირველის წლის პირველს ნახევარში სკოლაში უნდა ასწავლიდნენ მხოლოდ დედა-ენას და სწავლებაც გნებისა, რასაკვირველია, ამ ენაზედ უნდა სწარმოებდეს. იანვრიდგან დაწყებული უნდა შეუდგნენ რუსულის ენის სწავლებას ზეპირ-სიტყვაობით. ამ გვარი სწავლება გასტანს პირველის წლის დამლევამდე. მეორე წლის დამდეგიდგან იწყება შესწავლა რუსულის წერა-კითხვისა და გრძელდება მთელის კურსის განმავლობაში. საგნები ისწავლებიან პირველის და მეორის წლის განმავლობაში დედ-ენაზედ, ხოლო მესამე წელიწადს უმეტესად (главнымъ образомъ, როგორც ნათქვამია დაბეჭდილს გეგმაში) რუსულს ენაზედ. გამოკლებას შეადგენს მხოლოდ საღმრთო სჯული, რომლის სწავლება განწესებულია დედა-ენაზედ სამისავე წლის განმავლობაში.

ეს ჩვენი გეგმა არ არის. ჩვენი სრული თანაგრძნობა ეკუთვნის წინამძღვარიან-კარის სკოლის გეგმას, რომელშიაც სწავლება საგნებისა დაწესებულია დედა - ენაზედ მთელის ექვსის წლის განმავლობაში, და სადაც რუსული ენა, როგორც საგანი სრულის სიფართოვით არის დაყენებული.

მაგრამ სიმართლე მოითხოვს ვსთქვათ, რომ მთავრობის გეგმაც მეტ-ნაკლებობით პედაგოგიურია. იგი სულს არ უხუთავს არც დედა-ენის წარმატებას და არც საგნების შეთვისებას. იგი სატანჯველ რადმე არა ხდის რუსულს ენასა, რადგანაც მას და მასზე სწავლებას საგნებისას ძლიერ ადრე და ძლიერ უდრო-უდროვოდ არ იწყებს. მეტ-ნაკლებობით იმ გეგმასაც შეეძლო მოეტანა საკმარისი ნაყოფი, თუ რომ კურსი სახალხო სკოლისა არა ყოფილიყო ისე მოკლე (სამი წლიანი) და ერთი წელიწადი მაინც მიჰმატებოდა მას.

ეს გეგმა ამ ჟამად სავალდებულო კანონია ჩვენის სკოლებისთვის და, როგორც კანონის წინააღმდეგობის ნება არავის არა აქვს, ისე ამ გეგმის შეცვლისა, ვიდრე იგი თვითონ მთავრობისაგან არ იქნება უარყოფილი. ბ-ნი ლევიცკი-კი ამას არ დაგიდევს და არღვევს მთავრობის დადგენილობას, რის დაცვაშიც მოვალეა სხვებს მაგალითი მისცეს.

პირველს წიგნს მის курсъ-ისას აწერია ზედ годъ первый. იგი შეიცავს 140 გვერდსა და უშინსკის „Родное Слово“-ს პირველს წიგნზედ ბევრით დიდია. და ეს ამოდენა წიგნი ქართველმა სოფლის ბავშვებმა უნდა გაათავონ პირველის წლის განმავლობაში. მაშასადამე, ბავშვებმა რუსულის ენის სწავლება უნდა იწყონ არა იანვრიდგან, როგორც ითხოვს ოფიციალური გეგმა, არამედ იმავ თავით, სკოლაში შესვლის უმალვე, როდესაც დედა - ენაზედაც რიგიანს სიტყვა-პასუხში ჯერ არ გამართულან. რუსულს წერა-კითხვას უნდა შეუდგნენ არა მეორე წლიდგან, თანახმად ამავე გეგმისა, არამედ იწყონ მაშინ, როდესაც ქართული ანბანი რიგიანად არ იციან, და პირველის წლის განმავლობაში მთელი ვეებერთელა წიგნი გაათაონ.

ესრედ წოდებული წრეს-გადასული ერთგულება რომ გაგიგონიათ, სწორედ ეს გახლავთ. თუ აქამომდე ცოტაოდენი წარმატება წილად ხვდებოდა ჩვენს სკოლაში ქართულს ენასა, ეს იმის წყალობით იყო, რომ პირველს წელიწადს თითქმის მთელი დრო მას ხმარდებოდა. და თუმცა მეორე და მესამე წელიწადს იგი პირველს ადგილს უთმობდა რუსულს ენასა, მაინც წინ მიდიოდა ცოტა-ცოტათი, რადგანაც პირველს წელიწადს ფესვებს საკმარისად იდგამდა ბავშვის გონებაში. ბ-ნი ლევიცკი პირველს წელიწადს კისერზედ ახვევს იმოდენა ცოდნას რუსულის ენისისას, რომ თითქმის მთელი დრო მას უნდა მოხმარდეს და დედა-ენა-კი რჩება გარიყული. მაგრამ იქნება რუსული ენა მაინც

*) იხ. „ივერია“ 1891 წ., № 178.

ღამის რაინდები შორეულნი არ იყვნენ. პოლიციის ბოქაულის თანაშემწემ მგელაძემ გულ-დასმით გამოიკვლია და გამოიწვლილა ეს ამბავი და სამის დღის შემდეგ დამნაშავენიც აღმოაჩინა და დაკარგული ფული და საქონელიც იპოვა. სამწუხაროა, რომ დამნაშავენი, რომელნიც ამ ყოვლად სამარცხვინოს და სათაკილო გზას დასდგომიან, ახალგაზდანი არიან, 20 თუ 21 წლისანი.

*** სამეგრელო (სენაკის მაზრა): მეტად დიდს გაჭირვებაში ვართ ჩავარდნილი სენაკის მაზრელები უხიდობის გამო. მდინარე ტეხურზე ს. ნაქალაქევში დიდს ხანს ხიდი ჩამტვრეული იყო, ეხლა, როგორც იყო, დაიწყეს ხიდის კეთება. გვეგონა გვეშველებოდა, მაგრამ შუაში გააკეთეს ხიდი და თავები-კი ისევ გაუქედლად დაარჩინეს. თუ ცხენით კაცი მიდის, ცხენი წყალში უნდა გააყვანინოს, თვითონ-კი ზიარება უნდა მიიღოს და ისე გავიდეს ხიდზედ, რომელზედაც მხოლოდ ერთი ფიცარია გადებული. ეს კიდევ არაფერი. მდ. ტეხურზე უხიდოდაც გავა ნაპირას კაცი, მაგრამ მდ. ტარჩენიზე, თუ ცოტა მაინც მოიმატა, გასვლა ყოვლად შეუძლებელია. რამდენიც უნდა ეცადოთ, ვერას გზით ვერ გააღწევთ.

როგორც შევიტყე, ფული ამ საქმისათვის დიდი ხანია მზად არის, მაგრამ ჯერ-კი ამ უსაჭიროესს საგანს კაცი ყურადღებას არ აქცევს. ჩვენებურს გლეხს თუ რამე აქვს გასაყიდი, უნდა წაიღოს ან ძველ-სენაკს, ან ახალ-სენაკს ურმით ან ცხენით, მაგრამ აბა როგორ წაიღოს, როდესაც გზა არსად არის და ერთის მანეთისა ან ხუთის მანეთისთვის ას მანეთიანი საქონელი წყალში უნდა ჩაარჩოს.

*** ბაქო: ხუთშაბათს, 30 იანვარს, როგორც ამას წინადაც იყო მოხსენებული თქვენს გაზეთში, აქაურს კლუბში დანიშნულია ქართული საღამო შიდა გუბერნიებში დამშეულთა და ტფილისში 6 იანვარს დაღუპულების ოჯახთა სასარგებლოდ. საღამო ორ განყოფილებად იქნება. პირველს განყოფილებაში წარმოადგენენ „ხანუმას“, არტისტ ქალების ნ. მ. გაბუნია-ცაგარლისა და ა. ი. საფრაზიანის მონაწილეობით. მეორე განყოფილებად იქნება ცხოველი სურათები „ვეფხის-ტყაოსნიდამ“, შემდეგ ლეკური და ბოლოს ცეკვა-თამაში. საღამოს გამგენი არიან: ე. ზ. სტალინსკისა, მ. ლ. კოსტენსკისა და ა. მ. ანტონოვისა.

დასასრულ, იქნება საინტერესოდ მიიჩნიოთ და ამიტომ გატყობინებთ, ვინ ვის როლსა თამაშობს „ხანუმაში“ აქაურს სცენის მოყვარულთაგან:

მიკიჩ ტყუილ კოტრიანცი—ბ-ნი გუნია; სონა, მისი ქალი—ქ-ნი თუმანიშვილისა; სარა, დედა მიკიჩასი ქ-ნი გამრეკელისა, თ. კოტე ფანტიაშვილი—ბ-ნი ხაინდრავა; თ. ვანო ფანტიაშვილი—ბ-ნი ჩუბინაშვილი; ხანუმა—ქ-ნ იგაბუნია-ცაგარლისა; ქაბატუა ქ-ნი საფრაზიანი; აკოფა ბ-ნი გამრეკელი და ტითოთე—ბ-ნი ჩუბინაშვილი.

*** სტამბოლი, 11 მაისი: აგერ რამდენიმე დღეა, რაც დაპატიმრებულია ცნობილი სომეხთა ეპისკოპოსი ხორენ ნარბეი ლუზინიანი, რომელზედაც ოსმალეთის მთავრობას ის ეჭვი აქვს მიტანილი, რომ ისიც მონაწილეობას იღებდა ოსმალეთის სომეხთა მთავრობის წინააღმდეგ მოძრაობაშიო. ეპისკოპოსმა ნარბეიმ პირველში უარ-ჰყო ეს ბრალი, მაგრამ შემდეგ-კი თითქოს აღიარა. ოსმალეთმა სომეხთა პატრიარქს მიჰმართა, რომ გადააყენეთ ეპისკოპოსი ნარბეი, რათა სტამბოლიდგან გავაძევოთ, ვითარცა საპოლიტიკო დამნაშავეო. პატრიარქს საერო კრების სასულიერო ნაწილის თავმჯდომარე და ორი სასულიერო წოდების დაუნიშვავს კაცი, რომ ამათ მთავრობასთან ერთად ჩვენება ჩამოერთმევინათ ნარბეისათვის, მაგრამ აქამდე არ გაუგზავნია, რადგან ჯერ არავინ იცის, მართლა საპოლიტიკო დამნაშავედ იცნობს პატრიარქი აშიღიანი ნარბეის, თუ არა. ხმა დადის, რომ ხორენ-ნარბეი არაფერში ურევია და, თუ დააპატიმრეს, იმიტომრომ ერთს საზოგადოებაში ერთხელ რამდენიმე გაუფრთხილებელი სიტყვა წამოსცდა ხონთქრის შესახებაო. ამას გარდა, იმასა სდებენ ბრალს, ვითომც ის უგზავნიდა უსახელო წერილებს პარიჟის ზოგიერთს გაზეთს და ოსმალეთის მთავრობას ამხილებდაო. ხორენის მოწინააღმდეგე სომეხნი-კი ამტკიცებენ, რომ ეპისკოპოსის დაპატიმრება თვით მისივე დიპლომატიური ხრიკია და ამითი უნდა უფრო დიდი სახელი გაითქვას სომეხთა შორისო. (გაზ. „ნ. ობოზრენიე“).

*** ამავე გაზეთსა სწერენ ქუთაისიდგან, რომ ამ დღეებში გადაწყდება ქალაქის მესამე რიგის ხმოსანთა არჩევანის საქმე საქალაქო საქმეთათვის დაარსებულს დაწესებულებაშიო. ამ საქმის შესახებ ქალაქის მოურავმა უკვე წარადგინა თავისი განმარტება. შეტანილია, აგრეთვე საჩივარი, რომ თავმჯდომარემ უკანონოდ დაშალა კრებაო, და საჩივარზედ ხელი უწერიათ დ. ნ. აბდუშელიშვილისა, კ. ნ. ჩიკვაიძეს და დ. ვ. მიქაძეს. ამ საჩივრის პასუხიც უნდა წარადგინოს ქალაქის მოურავმა და ორშაბათს ან სამშაბათს დაწესებულება საქმის გარჩევას შეუდგება კიდეც.

*** ბათუმიდგან აუწყებენ გაზ. „ტ. ლ.“-ს, რომ ამ დღეებში საფრანგეთის ხომალდ „სამეგრელოდგან“ ზღვაში დაინახეს ვიღაც კაცი, რომელიც ტალღას ებრძოდა. გამოიყვანეს ნაპირას და მოაბრუნეს. აღმოჩნდა, რომ ეს კაცი გამაჰმადიანებული ქართველი იყო, ოსმალეთის ქვეშევრდომი. ოსმალები დასცემოდნენ იქვე ზღვის ნაპირად, გაეძარცვათ და წყალში გადაეგდოთ.

*** 28 იანვარს არტილერიის ქუჩაზე მცხოვრებელმა ზაქარ ონიკიძემ პოლიციაში გამოაცხადა, რომ ოთხის თვის წინად სიმთვრალის დროს არტილერიის ქუჩაზე დავეცი და იქვე მიმეძინა. ამ დროს ვიღაცამ 81 მან. ღირებული ქამარი ამაცალა და აგრეთვე ფულად ორი მანეთიო. ონიკიძემ ეს ქამარი უნახა ძიძიგერიშვილს. ძიძიგერიშვილმა სთქვა, ეს ქამარი ჯალალ-ოღლის მცხოვრებლის მიხეილ ზაიცევისაგან ვიყიდე 21 მანეთადაო. ზაიცევი შეიპყრეს და დანაშაულობაშიაც გამოტყდა.

## ტატო ჯიოშვილი და იმისი ამხანაგები

(წერილი გორიდან)

გორის საპატიმრო ქალაქის გარედ, ჩრდილოეთ-დასავლეთის მხარეს არის. ის უმთავრესი შარა გზა, რომლითაც შიდა ქართლი უერთდება თავისს სამაზრო ქალაქს და შემდეგ მთელს ქვემო ქართლს, ამ საპატიმროს წინ გამოდის. ამის გამო, როგორადაც თვით ეს გზა, აგრეთვე მის ახლო-მახლო მდებარე ცალიერი ადგილები და ქალაქის ქუჩები მუდამ დღე სავსეა მიმავალ-მომავალის ხალხითა, მაგრამ დღეს, ე. ი., ამ იანვრის 27, ამ ყოველს დღიურს განცხოველებულს მოძრაობას რაღაც სხვა, არა ჩვეულებრივი სახე მიეღო, მიმავალ-მომავალს ხალხს გარდა, თქვენ შენიშნავდით დიდ-ძალ მაყურებელთ, რომელნიც ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ საპატიმროს წინ და თვალ-გაშტერებით მისჩერებოდნენ მისს არე-მარესა. უმრავლესობა სოფლელი ხალხი იყო, უფრო-კი ოსები, რომელთაც თავიანთი დათოვლილი საყვარელი მთები დაეტოვებინათ ამ ჟამად და სწვეოდნენ იმ ქალაქს, სადაც დღეს ხვალ უნდა გადაწყდეს ბედ-იღბალი მათ თანამემამულე შარშანდელის ყაჩაღებისა: ტატე ჯიოშვილისა, სანდრო ხუბულურისა და ალექსა ხასიშვილისა.

დილის ათი საათი იქნებოდა, როდესაც გაიღო საპატიმროს ეზოს კარები და სამოცამდე შეიარაღებული ჯარის-კაცთა რაზმი გამოჩნდა... ჰაერში გაისმა გულის ამაშფოთებელი ჩხაკა-ჩხუკი ბორკილებისა. რაზმის შუაში ნელ-ნელა მოდიოდნენ ხელფეხ მძიმედ შებორკილნი უბედურნი მსხვერპლნი აწინდელის ცხოვრების წყეულ ვითარებისა. ეს რაზმი გამოვიდა საპატიმოს ეზოდამ და დაადგა გორის ზემოხსენებულს ქუჩას... მაყურებელი ხალხი დაედევნა უკან. სახლების აივნები, ფანჯრები და კარ-მიდამო ქალაქის მცხოვრებლებს აევსოთ: უნდოდათ დაენახათ ის ვაჟბატონები, რომელთა მეოხებით მთელი შარშანდელი ზაფხული ძილი ჰქონდათ გაფთხობილი.

„კიდევ შეხვალთ მუხუდოში! ეძახოდნენ მასხარა დუქნის ბიჭები. „დაგიმიწდეთ ეგ მარჯვენა, თქვე ღვთის პირისაგან შეჩვენებულებო, თქვენა!“ დასძახოდნენ მათ ხნიერი მანდილოსნები. უი, საწყალი! ეუბნებოდნენ ერთმანეთს ახალგაზდა ქალები,—აგერა ის რა ახალგაზდაა, რა ეშხიანი სახე აქვს...“

გაიარა ცოტა რამ ხანმა და ეს რაზმი გავიდა გორის უმთავრესს დიდ ქუჩაზე. მთელი ეს ქუჩა სავსე იყო ხალხითა. ჩაიარა რაზმმა და ბოლოს გაჩერდა ალიხანოვის სახლებ-წინ, სადაც ამ ჟამად სამხედრო კლუბია მოთავსებული. ამ კლუბის დარბაზი წინა დღითვე მომზადებული იყო დროებით გორში მოსულ სამხედრო სასამართლოსათვის. მთელი ეს კარგა მოზდილი დარბაზი სავსე იყო აქაურ უმაღლეს საზოგადოების წარმომადგენელთაგან. აქვე იყო ოცდა-ხუთის წლის ვაჟკაცი, პატივცემული ბ-ნი ფილავა, რომელიც თავისის მოხდენილის გარეგნობით, შეხვეულის ფეხით და თავისის ყავარჯენით მთელის საზოგადოების ყურადღებას თავისკენ იზიდავდა.

შესანიშნავი იყო ის წამი, როდესაც დარბაზში შემოყვანილმა ავაზაკებმა და ბ-ნმა ფილავამ პირველად შეჰხედეს ერთმანეთს. რამდენსამე წამს გაშტერებული შესცქეროდა ერთი მხარე—მეორეს. ბოლოს ბ-ნმა ფილავამ დაღონებით გაიღიმა და თავი დაუკრა სამთავე უბედურთ. იმავე წუთს ამათაც მძიმედ დაუკრეს თავი და მწუხარება გამოუცხადეს, რომ ფეხი ჯერ კიდევ არ მოგრჩენიაო.

„მსაჯულნი მობრძანდებიან!. ფეხზე წამოდექით!“... გაისმა უცებ დარბაზში. გაიღო მეორე კარები და იქიდამ გამოჩნდა თავმჯდომარე სა-

---

მოგებაში დარჩეს? არც ეს მოხდება. უცხო ენას ბავშვი მხოლოდ მაშინ ირგებს და ითვისებს სკოლაში, როდესაც იგი გამართულია დედა-ენაში და უცხო წერა-კითხვას მაშინ სწავლობს წარმატებით, როცა თავისს ენაზე წერა-კითხვა კარგად აქვს გაკვეთილი. წინააღმდეგს შემთხვევაში უცხო ენა და წერა-კითხვა მძიმე ტვირთნი არიან, გონების დამჩაგრავნი, აუტანელნი, შეუთვისებელნი,—და სწორედ ეგვიპტურს ტანჯვა-წვალებას გამოატარებს ბავშვსა.

ი. გოგებაშვილი

(დასასრული ხვალ)

## სიმონა

(მოთხრობა გლეხ-კაცობის ცხოვრებისა)

### XII

(შემდეგი. იხ. „ივერია“ № 21)

წაბლისერის წმინდა გიორგის ეკკლესია სდგან ერთს ვაკე-ზურგიანს გორაკზედ. უწინ აქ პატარა ქვის შენობა იყო ეკკლესიად, ხალხის სიტყვით, ვითომდა თამარ მეფის დროს აშენებული. მერე ამ ეკკლესიის მრევლთაგან ზოგიერთმა მდიდარმა კაცმა პატარა ძველს ქვის ეკკლესიას წუნი დასდო—„არ გვეკადრება, ეკკლესია-კი არა, კარავია“-ო და „გამოიწყეს“ ახალი ეკკლესია, ერთი დიდი ქვის შენობა. მაგრამ ხალხს შეექნა საეკკლესიო ადგილზე ცილობა: ზოგს უნდოდა, ეკკლესია შუა ადგილას აშენებულიყო; ზოგი—სადაც ძველი ეკკლესია იდგა, ახალიც იქ უნდა აშენდესო, ამბობდა. დავით დროიძე იმ მხარეს იყო, რომელსაც ახალის ეკკლესიის აშენება ძველ-ნაეკკლესიარს ადგილზე უნდოდა. ამ დავის გამო ბევრი „რევიზორი“ და „კომისსია“ გამოჰგზავნა სასულიერო მთავრობამ. მოგახსენებენ, ბევრი მათგანი ფულით ჯიბე-გატენილი დაბრუნდაო. უკანასკნელად საქმე იქამდე მივიდა, რომ ერთი მხარე—ხალხის მოთავე მოწინააღმდეგეებმა საიქიოს გაისტუმრეს,—ღამე დახვდნენ ჩუმად გზაში და მოჰკლეს. კარგა ხნის დავი-დარაბის და დიდის ხარჯის შემდეგ დამტკიცდა ახალ ეკკლესიის ასაშენებლად ისევ ის ადგილი, სადაც ძველი ეკკლესია იდგა. ეხლა შეუდგნენ აშენებას. ამოირჩიეს „დეპუტატები“, რომელნიც მიჰყვნენ და ას-ას მანეთობით შეაწერეს ღატაკს გლეხებს ეკკლესიის ასაშენებელი ფული. გეგონებოდათ ჩენგის ყაენის მეხარაკენი მოსულან, ისეთ ნაირად ბრუნავდნენ სოფელში ამ ფულის გადახდის დროს „დეპუტატები“, მამასახლისი, „ხევისთავები“ და „ყარაულები“. ვის ძროხას უყიდდნენ, ვის—ხარს, ვის სარჩო-სიმინდს და ვის რას, ვინ მოსთვლის! ბევრი ღატაკი გლეხი კიდევ უფრო გაალატაკა ამ ეკკლესიის აგების ხარჯმა. ბოლოს, ეშველა, აშენდა და, უნდა მოგახსენოთ, კარგი ეკკლესიაც არის. ბევრს პატარა ქალაქშიაც ვერ ჰნახავთ ასეთს კარგს ეკკლესიას.

ეკკლესიას ერთის მხრით ტყე აკრავს; ეზო დაჩრდილულია ნაძვისა, ურთხელისა და ბზის ხეებით. ახ ხეებს ქვეშ მშვენიერი, დაცემული მინდორია. ერთს მხარეს აშენებულია „საყარაულო“ და სენაკები—პატარა-პატარა ქოხები. სამრეკლოც მშვენიერია ამ ეკკლესიაზედ. მაინცა და მაინც იაფად არც ეს სამრეკლო და ახალი ზარი დასჯდომია ხალხს. რასაკვირველია, ძვირფასი ზარი მდიდრების ჟინიანობით იქნა შეძენილი, თორემ ძველსაც არა უშავდა-რა.

აი ამ ეკკლესიის ეზოში იყრის თავს ხალხი „გიორგობის“ წინა-ღამით. დიდ-ძალი ხალხი მოდის და დიდი თამაშიც იმართება „ღამის-თევის“ ღამეს. მოგახსენებენ დიდს სამსახურს უწევს ზოგიერთს ამ დროს ეკკლესიის ეზოს რომ ტყე აკრავს, ისაო. თურმე, როცა ყმაწვილს ქალს და კაცს ერთმანერთის მზერით გული გაუხურდებათ, გასაგრილებლად ამ ტყეს აფარებენ თავს.

როცა ფეფიკო და დარია ავიდნენ ეკკლესიაზე, ხალხი საკმაოდ შეგროვილიყო და რამდენსამე ადგილს გაემართათ ცეკვა, სიმღერა და დაირა. დავით დროიძეც აქ იყო თავისის ჯალაბით. ტიტიკო ხან ერთს მოთამაშე გუნდს დახედავდა, ხან მეორეს და ხან მესამეს. რასაკვირველია, სადაცკა მიიტანდა თავისს ბრჭყვიალა „პაგონებს“ და სამხედრო ტანსაცმელს, ქალებს ნერწყვი ადგებოდათ ყელზე. როცა ფეფიკო დაინახა, ტიტიკომ გასწია მისკენ. დარიამ მოარიდა თავი, გასწია და შევიდა ერთს სენაკში მონაზვნებთან. ფეფიკო გაჰყვა ტიტიკოს იქით, რაღაც უთხრა, ისევ დაბრუნდა დარიასთან და შემდეგ დარიას შინ წამოსვლამდე აღარ მოჰშორებია, თითქო კაი დედააო, ისე ატარებდა იქით და აქეთ. ცოტა ხანს შემდეგ ტიტიკო და მისი მოჯამაგირე დათიკაი წავიდნენ სახლში. ერთს ადგილას დარიამ გული გადააყოლა ცეკვა-სიმღერას. მერე უცბად შემობრუნდა და სთქვა: ვაიმე, მგონია, დავაგვიანე! შავღამეზე ბეჯითათ მოვალ-მეთქი, მარიამს დავპირდი. შენ არ წამოხვალ, ფეფიკო?

—მე ველარ წამოვალ, ჩემი ქალიშვილი არ მიშობს. ან-კი რათ გინდებვარ? დღეი და ღამე ერთია. უთხრა ფეფიკომ.

დარიამ შეუმჩნევლად გადაიარა ეკკლესიის ეზოდან, გამოაძრო ერთი მსხვილი წკნელი ღობეში და ჩქარის ნაბიჯით გასწია შინისკენ. როცა იმ ადგილს მიუახლოვდა, სადაც გზა ტყით იყო დაჩრდილული, დარიას ცოტა არ იყო, შეეშინდა და თანდა-თან მოუმატა ნაბიჯს. გული საშინლად უცემდა. ჯერ ნახევარიც არ გაევლო ქალს ეს ჩრდილი, რომ ვიღაცამ უკანიდან მაგრა მოუჭირა მხრებში. დარიას სიშისაგან სისხლი აუვარდა თავში, ისე რომ ვერც ხმა ამოიღო და ვერც ხელი გაანძრია. ამასობაში მძლავრმა კაცმა მოჰხვია მკლავები დარიკოს, თითქო მგელმა ბატკანიო, ისე წაიღო ტყეში. ეს მძლავრი მკლავები იყო მკლავები დათიკასი, დროიძის მოჯამაგირისა, რომელიც ახლდა ტიტიკოს და ასრულებდა მისს ბრძანებას.

ე. ნინოშვილი

(შემდეგი იქნება)

სამართლოსი ბ-ნი ხრჟანოვსკი.

დარბაისლური შეხედულობა ამ კაცისა და კეთილი სათნოიანი სახე მისი თითქო მალამოსავით მოეცხო მთელს საზოგადოებას. ამის დანახვაზედ ბევრს აქა მყოფს მოეშვა, გაუნელდა ის მძიმე გრძნობა, რომელიც მათს გულს, აგერ სამი-ოთხი თთვეა, ლოდივით დასწოლია და უსიამოვნოდ უხუთავს თავისუფალს სუნთქვასა. რა არის და რისგან წარმოსდგება ეს გრძნობა?... საქმე იმაში გახლავთ, რომ, დაიჭირეს თუ არა ზემოხსენებული ავაზაკები, მაშინვე საზოგადოებაში გაისმა ხმა: ადგილობრივს მთავრობას უნდა მათი ჩამორჩობაო. ეს ხმა დღევანდლამდე შხამიან გველსავით დაძვრება ჩვენს საზოგადოებაში და მის კეთილშობილ (გრძნობა-გონებით) წარმომადგენელთ აგრძნობინებს იმ უსიამოვნო მდგომარეობას, რომელიც ეს არის ეხლა მოვიხსენიე. არც მიქია როდისმე და არც ვაქებ ჩვენს საზოგადოებას, რადგან იგი საქებურს თითქმის არაფერს არას აკეთებს!... მაგრამ ამ შემთხვევაშიკი, სწორე უნდა სთქვას კაცმა, ღირსია იგი გულითადის პატივის ცემისა... აღნიშნული გარემოება ცხადად აჩვენებს მის ზნეობის ხარისხსა, ცხადად გვიმტკიცებს, რომ იგი დაშორებით მაღლა სდგას იმ ძველებურს კანონზე, რომელზედაც იყო დამყარებული მთელი სამართალი უწინდელის კაცობრიობისა და რომელიც ისე სავსებით და მოკლედ გამოსთქვა ძველის აღთქმის დიდებულმა წინასწარმეტყველმა: კბილი ნაცვლად კბილისაო და თვალი სამაგიეროდ თვალისაო... რა სასიამოვნო იქნება, რომ ჩვენი სამხედრო სასამართლოც საზოგადოების კეთილშობილს გრძნობას აჰყვეს და ისე გაასამართლოს ტატე და მისი ამხანაგები, როგორათაც შეჰფერის განათლებულს ქრისტიანსა!..

—

თავმჯდომარემ თავისის ხუთის ამხანაგით დაიჭირა მათთვის დამზადებული ადგილი. მოსამართლეთა მარჯვნივ მხარეს დაბრძანდა პროკურორი, ხოლო მარცხენა გვერდზე—მთავრობისაგან დანიშნული დამცველი ავაზაკებისა. პირველად განხილულ იქმნა სია მოწმებისა. აღმოჩნდა, რომ 45 მოწმე ყოფილა ამ საქმის გამოისობით მოწვეული. მათ შორის ერთი გარდაცვლილა, ხოლო სამი ვერ გამოცხადებულა სხვა-და-სხვა კანონიერ მიზეზთა გამო. ამის შემდეგ მოწმეები გაიყვანეს ცალკე ოთახში და სასამართლოს მდივანმა დაიწყო წაკითხვა გამამტყუნებელ ოქმისა. ოქმიდამ აღმოჩნდა, რომ ტატე ჯიოშვილს, სანდრო ხუბულურსა და ალექსა ხასიშვილს შარშან ზაფხულს გორის მაზრის სხვა-და-სხვა ადგილას ჩაუდენიათ რვა ავაზაკობა: ოთხი კაცის-კვლა, სამი გაძარცვა და ერთიც ხელის შებრუნება იმათ წინაღმდეგ, რომელნიც ავაზაკთა დასაჭერად მთავრობისაგან იყვნენ დანიშნული. პირველი კაცის-კვლა ჩაუდენია სანდრო ხუბულურს... ეს თვით დამნაშავემ აღიარა და თავს იმითი მართლულობდა, რომ განსვენებულმა ტიმოთე ედილაშვილმა ძალათი შემომაკლა თავიო: ქვები დაგვიშინა, გვლანძღავდა და ამგვარის მოქმედებით იქამდის მიმიყვანა, რომ მოვკალიო... მეორე კაცი მოუკლავს ალექსა ხასიშვილს... პირველად მან მესროლა თოფი, მაგრამ ვერ მომარტყაო... შემდეგ მე ვესროლე და ტყვია მუცელში მოხვდა, რის გამოც იქვე უსულოდ დაეცაო... მესამე და მეოთხე კაცი ჩვენმა ამხანაგმა ფადო სანაყოშვილმა მოჰკლაო *), ამბობენ სამთავენი დანარჩენ ორის მოკლულის შესახებ. არც ამათა და არც არავის მოწმებთაგან ჯერ არავის არ უთქვამს, რომ ტატეს ვინმე მოეკლას. ამ გვარივე ხმა ტრიალებს ჯიოშვილის შესახებ მთლად გორის მაზრაშიაც. რაც შეეხება გაძარცვას, ამასაც უარს არა ჰყოფენ ავაზაკები... მხოლოდ, როგორც ხუბულური და ხასიშვილი, აგრეთვე ზოგიერთი მოწმეც ამ შემთხვევაშიაც ჯიოშვილის სასარგებლოდ ლაპარაკობს. პროკურორის ყურადღება-კი მომეტებულად ჯიოშვილზეა მიქცეული და მოწმეებს იმ გვარად ჰკითხავს საქმის გარემოებას, რომ მათის ჩვენებით ცხადად დამტკიცდეს, ვითომ ტატე იყო მოთავე ამ ავაზაკებისა, მაგრამ ეს გარემოება ჯერ-ჯერობით ორის მოწმის მეტს არავის არ უღიარებია. რაც შეეხება დაჭერის დროს ხელის შებრუნებას, აქ არაფერი არა თქმულარა იმისთანა, რაც „ივერიის“ მკითხველებმა არ იცოდნენ იმ წერილიდამ, რომელიც ამ ზაფხულს დაიბეჭდა და რომელშიც დაწვრილებით იყო აღწერილი ამ ავაზაკების დაჭერისა და შეპყრობის ამბავი.

გორი იანვრის 27-ს.

# რუსეთი

„Русск. Обоз.“-ში დაბეჭდილია საყურადღებო წერილები გრ. ლ. ნ. ტოლსტოისა დამშეულთა შემწეობის შესახებ. ტოლსტოის აზრით, ხალხისთვის მარტო პური-კი არ არის საჭირო გამოსაკვებავად, ხალხს სამუშაო უნდა მიეცეს, ისეთი სამუშაო, რომელშიაც გლეხები დახელოვნებულნი და დაჩვეულნი არიან. „ამ წელს ჩვენი უბედურობა მარტო ჭირნახულის მოუსავლობის გამო-კი არ არისო, ამბობს ტოლსტოი, საქმე ის არის, რომ გლეხებს ამ ზამთარს სრულიად სამუშაო არა აქვთ-რა და რამდენიმე მილიონი კაცი უსაქმობაში ატარებს დროსა და ეს უსაქმობა მოუსავლობაზედ უარესია, ხალხი მუქთა-მჭამლობას ეჩვევა, ზარმაცდება და ირყვნება. უნდა ვეცადნეთ, რომ უსაქმურს ხალხს სამუშაო გავუჩინოთ; უამისოდ რამდენი მილიონიც უნდა დავხარჯოთ, წლევანდელს უბედურებას არა ეშველებარა. ჩვენ იმისთვის-კი არა ვსწუხვართ, რომ ფული დაიხარჯება, მუქთად რომ ვკვებოთ ხალხი, საქმე ის არის, რომ მუქთა-მჭამლობა და უსაქმობა საშინლად რყვნის ხალხსა. უნდა ვეცადნეთ, ხალხს სამუშაოები გავუჩინოთ. მთავრობამ კიდეც მოჰკიდა ამ საქმეს ხელი. მაგრამ ამ სამუშაოებს გარდა, ხალხს ისეთი შემწეობა უნდა აღმოვუჩინოთ, რომ თავ-თავიანთს სახლში შეეძლოთ მუშაობა და ნანუშევარის გაყიდვა, რომ ჯერ ერთი უსაქმოდ არ დარჩეს და მეორე, თავისის შრომით ორიოდე გროში იშოვოს. სამწუხაროდ, დამშეულს გუბერნიებში წლეულ არც სელი მოვიდა და არც კანაფი. ცხვარი ხომ სულ გაყიდეს გლეხებმა, ასე რომ შინ მატყლი არა აქვთ და დედაკაცები უსაქმოდ სხედან. გლეხებს იმდენი ფული არა აქვთ, რომ ხის ქერქი იყიდონ და ქალამნები გააკეთონ. ბავშვებიც უსაქმოდ არიან, რადგანაც უმეტესი ნაწილი სკოლებისა ამ ჟამად დაკეტილია. შრომას ძლიერ დიდი სასარგებლო გავლენა აქვს ადამიანზე. ეს საჭიროება ბევრმა შეიგნო და სცდილობენ კიდეც როგორმე ხელი შეუწყონ უსაქმო ხალხს და რაიმე საქმე გაუჩინონ. მეც ჩემის მხრით ვცდილობ ამ მხრივ, რაც-კი შემიძლიან, შემწეობა აღმოვუჩინო გლეხებს და ამ განზრახვით დავიბარე კიდეც გლეხებისთვის სელი, მატყლი და ხის ქერქი. როცა გლეხებს გამოვუცხადეო, ამბობს ტოლსტოი, რომ სამუშაოს მოგცემთ, ტილო და ქალამნები გააკეთეთ გასასყიდად, ყველა აღტაცებით ცას დაეწია, ყველას გაეხარდა და ამბობდნენ, ღმერთიც გიშველის, დღეში რომ ხუთი გროში მაინც ვიშოვოთ, იმისიც მადლიერი ვიქნებითო“.

— სარატოვის ქალაქის მმართველობამ გადასწყვიტა სამი ელევატორი გამართოს, ერთი რკინის გზის სადგურზედ და ორიც ვოლგას ნაპირებზედ.

— თუ მართალია, რასაც სწერს „Петерб. Лист.“ კორესპონდენტი, ძლიერ სამწუხარო ავად-მყოფობას შეუპყრია „Русск. Курьеръ“-ის გამომცემელად ნამყოფი ს. პ. ლანინი. ლანინი ჯერ ინფლუენციით გახდა ავადაო, სწერს კორესპონდენტი და შემდეგ ჭკუაზედ შეიშალა. საბრალო ყველას იმას ეუბნება თურმე, რომ მე ვარ რუსეთში სიმშილის მიზეზიო. რაც რუსეთში პური იყო, სულ მე შევჭამე და ამიტომ ჩამოვარდა სიმშილი, გამჭერით, პური ამოიღეთ და მშიერი ხალხი გამოჰკვებეთო, ეუბნება ნაცნობებს ავადმყოფი.“-ო

ძლიერ სამწუხარო ამბავია ეს ამბავი, რასაკვირველია, თუ მართალია.

## კავკასიის სამხედრო ოლქის სასამართლოს მატიანე

(გორი, 27 იანვარს)

საქმე ტატე ჯიოშვილისა, სანდრო ხუბულურისა და ალექსი ხასიშვილისა, რომელთაც ჰბრალდებათ ქურდობა, ძარცვა და კაცების დახოცვა.

(შემდეგი იხ. „ივერ.“ № 21)

თავმჯდომარე დაეკითხა, სცნობთ თქვენს თავს დამნაშავეებად ტიმოთე ედილაშვილის მოკვლაში, თუ არაო. ამაზედ ხუბულურმა უპასუხა, ტიმოთე ედილაშვილი მე მოვკალი, ჯიოშვილსა და ხასიშვილს იმისთვის თოფი არ უსროლიათო. ჯიოშვილი და ხასიშვილი დამნაშავედ თავისს თავს არც ერთი არა სცნობს ტ. ედილაშვილის მოკვლაში.

სამნივე ამბობენ, ჩვენ წავართვით ცხენი მღვ. ედილაშვილს და იმისს დიაკვანსა; ჩვენვე დავეცით დვალიშვილს და იმის რძალსა და, როცა ჩვენ, ჯიოშვილი და ხუბულური, დვალიშვილის სახლში შევედით, ხასიშვილმა გრ. დვალიშვილი მოკლაო.

სანდრო შოშიაშვილის გაძარცვის შესახებ ამბობენ, მართალია, ჩვენ გავძარცვეთ, ხუთი თუმანი-კი არა, არამედ 14 მან., ქამარი და ცხენი წავართვით, სამაგიეროდ ჩვენი ცხენი დავუტოვეთ, ხოლო დაჭრით არ დაგვიჭრიაო.

ბრალდებული ჯიოშვილი და ხუბულური დამნაშავედა სცნობენ თავიანთს თავს ყარამან ბურაშვილის გაძარცვაში და იმის ძმის გუდოს დაჭრაში, მაგრამ იმ გვარად-კი არა, როგორც საბრალმდებელო ოქმია ეს გარემოება მოხსენებული. ამასთანავე ამბობენ ალექსი ხასიშვილი იმ დროს იქ არა ყოფილაო.

სოლომონ გუგუტიშვილის გაძარცვასა და მოკვლაში ჩვენც მონაწილენი ვართო, სთქვეს დამნაშავეთ: მაგრამ იმ დროს ხუთნი ვიყავით და და პირდაპირ ჩვენ-კი არ მოგვიკლავს გუგუტიშვილიო.

სამმავე ბრალდებულმა დამნაშავედ სცნა თავისი თავი იმაში, რომ წინააღმდეგობა გავუწიეთ, როცა ჩვენი დაჭერა უნდოდა რაზმსაო.

თავმჯდომარემ ჰკითხა, გვიამბეთ, როგორ მოჰკალით ტიმოთე ედილაშვილიო, და ამაზე ხუბულურმა შემდეგი სთქვა: „სოფელს ბრეთში დავითვერით და ცხინვალისკენ წავედით. გზაზე შემოგვეყარა ნაცნობი სურამელი და გაველაპარაკეთ. ამ დროს მოვიდა ტიმოთე, როგორღაც გულში გაივლო, ვითომ იმისი გაძარცვა გვნდომოდეს, და ყვირილი მორთო: „რაზე მძარცვავთო!“ თან ილანძღებოდა კიდეც. მე ორჯელ მათრახი გადავკარ. ამ დროს გლეხები და დედაკაცებიც მოვიდნენ; ვთხოვე, დააჩუმეთ მეთქი, მაგრამ ვერას გახდნენ. იმან მაინც ქვა აიღო და თავში დამარტყა. მეც გული მომივიდა, ვესროლე თოფი და მოვკალი. წინად იმასთან არავითარიმე მტრობა არა მქონია“.

შემდეგ ბრალდებულთ სთქვეს, გზაზე მღვდელი ედილაშვილი თავისის დიაკვნით შეგვხვდა, რაკი ის იყო ავაზაკობა ჩავიდინეთ, გვეშინოდა დაჭერისა, გაქცევა გვინდოდა, ცხენები დაღალული გვყავდა და იმიტომ გამოუცვალეთო. დავპირდით, ცხენებს ისევ დაგიბრუნებთ და კიდეც შევასრულეთ დანაპირევიო. მღვდელს, და დიაკვანს არ დავმუქრებივართ, მაშინვე დაგვითმეს ცხენები, ვთხოვეთ თუ არაო.

დვალიშვილის შესახება სთქვეს, შევიტყეთ, რომ გრიგოლ (იგივე მიხა) დვალიშვილს პოლიციასთან დაებეზღებინეთ, ვითომ ცხენებს ვიპარავთო, და ჩვენც შურის ძიება მოვინდომეთ, მით უმეტეს, რომ ჯიოშვილი და ხუბულური იცნობდნენ ამ კაცსა. იმ დღეს ქელეხში დავითვერით. ხუბულური და ჯიოშვილი სახლში შევიდნენ; ხასიშვილი კარში იცდიდა. ამ დროს გინებით მივიდა გრიგოლი (მიხა) და თოფი ესროლა ხასიშვილს. ხასიშვილმაც თავისის მხრით ესროლა თოფი და იქვე მოჰკლა გრიგოლი.

სანდრო შოშიაშვილის გაძარცვის შესახებ შემდეგი სთქვეს ბრალდებულთ: გათენებისას გორიდგან ძლიერ ნასვამები მოვდიოდით და ჯერ „ბუდკასთან“ ar მივსულიყავით, რომ სანდრო შემოგვეყარა. ჩვენ სალამი მივეცით, იმან გინება დაგვიწყო, შევარდა „ბუდკაში“ და ქვების სროლა აგვიტეხა. მაშინ მივედით, 14 მანათი, ქამარი და ცხენი წავართვით, მაგრამ-კი არ დაგვიჭრია. იქნება თავისი თავი თითონ დაიჭრა, რადგანაც გვიძალიანდებოდა.

ყარამან ბურაშვილისთვის ჩვენ ბარათი არ მიგვიწერია, სთქვეს ბრალდებულთ: და არც ოცი თუმანი ვგითხოვნიაო. თითონ გამოგვიგზავნა კაცი ტყეში და დაებარებინა, შევიტყე, ჩემი გაძარცვა გაგიზრახავთ, ჩამომეხსენით და ოცს თუმანს მოგცემთო. ჩვენ უარი არა ვსთქვით, წავედით ყარამანისას, მაგრამ იქ გვითხრეს, ფული არა გვაქვს, ათს თუმანზე მეტს ვერ მოგცემთო; ჩვენ ეს ათი თუმანიც არ მიგვილია, მარტო არაყი დაგვალევინეს და პური გვაჭამეს. ფულზე რომ უარი მივიღეთ, მერე ავიღეთ და ჩვენით გავძარცვეთ და იმისი ძმაც ძირს გადმოვაგდეთ.

სოლომან გუგუტიშვილის გაძარცვაში ხუთნი ვერიეთ. ჩვენს გარდა, კიდევ იყვნენ ჯამბულათ ფილიშვილი და თედოსე სანაყოშვილი. ყველას გაგონილი გვქონდა, გუგუტიშვილს ბევრი ფული აქვსო და იმიტომ განვიზრახეთ იმისი გაძარცვა. როცა მივედით, გუგუტიშვილმა ფიცი დაიწყო, ფული არა მაქვსო. ბევრს ხანს ველაპარაკეთ. დაჭრით თედოსემა და ჯამბულათმა დასჭრეს, მაგრამ ის სახლიდგან ფული არა წამოგვიღია-რა; მარტო ნივთები წამოვიღეთ.

წვენ წინად ბრბო არა გვქონია. როცა გავიგეთ, რომ გუბერნატორი მოსულიყო და გვეძებდა, ჩვენ გვინდოდა დავნებებულიყავით, მაგრამ ერთი პოლიციის მოხელე შეგვხვდა და გვითხრა, დაიცადეთ, ჯერ ყველაფერს გავიგებ და შეგატყობინებთო.

ამას შემდეგ მოწმეები დააფიცეს და ჩვენება ჩამოართვეს.

მოწმე თავ. ფჯალავა. ჩვენ მონდობილი გვქონდა ავაზაკების დაჭერა. მდინარე ლიახვის პირზე ერთი კაცი ვნახეთ, გლეხების შუაში იჯდა. რომ დაგვინახეს, გლეხები წავიდ-წამოვიდნენ, ხოლო ის კაცი მოგვშორდა. ჩვენ ისე კაცი გვეგონა და დავუძახეთ, ნუ გეშინიან, ყაჩაღები არა ვართ-თქო. ჯამბულათოვმა თოფი გაისროლა. ჯიოშვილმაც გამოისროლა თოფი. აღარ მახსოვს, კიდევ გამოისროლა თუ არა. შემდეგ-კი ვნახე, რომ ჯიოშვილის თოფი წამხდარი იყო. გაღმიდგან ხუბულურმა და ხასიშვილმა დაიწყეს სროლა.

ჯიოშვილი ამბობს თოფი გაფუჭებული მქონდა და არც ერთხელ არ გამისროლიაო.

მოწმე პრაპორშჩიკი ჯამბულათოვი. ერთის თვის განმავლობაში ვეძებდით ავაზაკებსა. 14 ივლისს შეგვატყობინეს, სადაც იყვნენ. გავეშურენით. დავინახე თუ არა ჯიოშვილი, თოფი ჰაერში გავისროლე. იმანაც თავის მხრივ სამჯერ გამოისროლა. გაღმიდგანაც დაიწყეს სროლა და თავფალავა დასჭრეს.

ჯიოშვილი კვლავ აცხადებს, ერთხელაც არ მისროლიაო.

მოწმე ნ. სანაყოშვილი. მე ჯავაში დუქანი მაქვს. იმ დღეს, როცა დაიჭირეს, ჩემთან მოვიდნენ და აღვირი, პაპიროსები, საათი და ფული წამართვეს. მე სროლა არ მინახავს. ბელადი ავაზაკებისა, ამბობდნენ, ჯიოშვილიაო.

ჯიოშვილი ამბობს, ეგ მოწმე სტყუის: ჩვენ რომ მივედით, დუქანი დაკეტილი დაგვხვდა, გავტეხეთ კლი-

*) ფადო სანაყოშვილი ვიღამაც ტყეში მოჰკლა ჯავის მახლობლად.

ტე, შევედით, თორმეტის აბაზის პაპიროსები წავიღეთ, მაგრამ სამაგიეროდ ხუთი მანათი დავდეთ დახლზეო.

მოწმე მამასახლისი პეტაშვილი ამბობს, დაჭერის დროს ჯიოშვილმა ერთხელ გაისროლა თოფი და შემდეგ გაიქცაო. მე მოვახდინე განკარგულება, რომ ავაზაკები დაეჭირათო.

ბრალდებული ჯიოშვილი აცხადებს, ჩვენ დაჭერის დროს პეტაშვილი იქ არ იყო, ძლიერ კარგად გვიცნობს, ჩვენთან ბევრჯელ ულოთნია და არავითარიმე განკარგულება არ მოუხდენია ჩვენ დასაჭერადაო; ეგ-კი არა, კიდევაც გვფარავდაო.

მოწმე ბოქაული გუგუშვილი ამბობს ტატე ჯიოშვილის ბრბოში 5 კაცი-კი არ იყო, არამედ 9. დაჭერის დროს ჯიოშვილმა ერთხელ გაისროლა თოფიო. გამოძიების დროს ამავე მოწმემ სთქვა, ჯიოშვილს არ უსროლია თოფიო. ჰკითხეს, ეხლა სხვას რად ამბობთო, და ასე უპასუხა, ეხლა დაწვრილებით შევიტყე ყველაფერიო.

მოწმე მღვდელი ქდილაშვილი. მე და ჩემი დიაკვანი ცხინვალისკენ მივდიოდით. გზაზე შეგვეყარა სამი შეიარაღებული კაცი და გვითხრეს, გაჩერდით, თქვენი ცხენები დაგვითმეთ, ეს არის ეხლა კაცი მოვკალით, დასვენებული ცხენები გვინდა, რომ გავიქცეთო. ჩვენც შეგვეშინდა და მივეცით ცხენები. ავაზაკები დაგვპირდნენ, თქვენს ცხენებს დაგიბრუნებთო და სამაგიეროდ თავიანთი ცხენები დაგვიტოვეს. ჩვენი ცხენები მართლაც დაგვიბრუნეს, ხოლო დანატოვებს ცხენებს შემდეგში პატპატრონები გამოუჩნდნენ. არ ვიცი ეს ბრალდებულნი იყვნენ ჩვენი ცხენების წამრთმევი, თუ სხვანი ვინმე: ბინდი იყო ვერ გავარჩიე კარგადა.

მოწმე დიაკვანი ყიფშიძე იმასვე იმეორებს, რაც მღვდელმა სთქვა და დასძენს, ავაზაკებმა გვითხრეს, ჩვენ რომ ქელეხი გაგიმართეთ, გვეკუთვნის, რომ ცხენები დაგვითმოთო.

(შემდეგი იქნება)

## წერილი რედაქციის მიმართ

უმორჩილესად გთხოვთ ნება მიბოძოთ, რომ თქვენის გაზეთის საშუალებით გულითადი მადლობა ვუძღვნა თავადი ერმილე კაციას ძეს ნაკაშიძეს, რომელმაც შემოსწირა ჩემ მიერ დასაარსებელს წიგნთ-საცავს მაყვანეთის კერძო სასწავლებელში 50 ცალი სხვა-და-სხვა ქართული წიგნი და თავისისავე ხარჯით გაუწერა 1892 წლისათვის მაყვანეთისავე კერძო სასწავლებელს გაზეთი „ივერია“. იმედია, ქველ-მოქმედი ქართველები უყურადღებოდ არ დასტოვებენ ჩემ მიერ განზრახულს დასაარსებელს წიგნთ-საცავს (ს. მაყვანეთისას) და შემოეწევიან.

მაყვანეთის კერძო სკოლის მასწავლებელი
კონსტანტინე გვარამაძე
ს. მაყვანეთი

## დეპეშა

28 იანვარი

**ბელგრადი.** როცა 2 დეპუტატმა ლიბერალთა დასისამ იკითხა რა მიზეზით გაჰგზავნეთ ამ ქალაქიდგან დედოფალი ნატალიაო, პრეზიდენტმა პაშიჩმა განმარტა, რომ კანონიერია ჩვენი საქციელი, სახელმწიფოსა და სკუპშჩინას თანახმად, და რომ ჯარი მხოლოდ უწესოების ასალაგმავად იყო მოწვეულიო. სკუპშჩინამ მოიწონა მისისტრის განმარტება.

**ლონდონი.** დღეს პარლამენტის პირველი კრება სეფე სიტყვით დაიწყო. სეფე სიტყვაში მოხსენებულია, რომ ეგვიპტის ქედივი გარდაიცვალა და დედოფალმა პატიოსანი მოკავშირე დაჰკარგაო. მაინც-კი დედოფალს იმედი აქვს, რომ მისნი მემკვიდრენი იმავე შორს მხედველს პოლიტიკას არ გადასცდებიანო. სიტყვაშივე ნაუწყებია, კანონ-პროექტია პარლამენტში წარმოდგენილი, რომ ირლანდიაშიაც ინგლისის სისტემის მაგვარი თვით-მმართველობა იქმნას შემოღებულიო.

პეტერბურგის ბირჟა, 28 იანვარი

| | მყიდვე-ლისა. | გამყი-დველისა. | გაყიდუ-ლისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 8, 10 | 8, 13 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | $162^1/_4$ | $162^3/_4$ | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | 1, 17 | 1, 19 | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — ,, | — ,, | $236^1/_2$ |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | 226 |
| —მესამისა . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | 198 | — ,, | $199^1/_2$ |
| კირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: 6%. . . . . | $102^1/_4$ | — ,, | — ,, |
| 5%. . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6%. | $102^1/_4$ | — ,, | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | $98^3/_4$ | — ,, | — ,, |

## გამოსადეგი ცნობანი

ნ ი ხ რ ი

1892 წ. 18 იანვრიდამ ახალ განკარგულებამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ. „ კ.
წითელი „ 1-ის ხარისხ. „ „ „
„ „ 2
თონ. წით. პურ. 1 ხარ. „ „ „
„ „ „ 2 „ „ „
„ „ „ 3 „ „ „

ჯვარის მამის პურის ლავაში.

1-ის ხარ. პურ. ლავაშ. 1 გ. კ.
მე-2 „ „ „ „ „
მე-3 „ „ „ „ „
ძროხის ხორცი 1-ის ხარისხისა 8 „
„ „ 2 „ „
სუკი — — — 14 „
ცხვრის ხორცი — — 8 „
ღორ. ხორ. უტყაოდ 1 ხარ. 1 გ. 7 „
მე-2 ხარ. ტყავიანად 6 „

## რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

„ . . . , . „ . 6 ს. 50 წ. საღ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 ს. 52 წ. საღ.

„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუადღ.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის:

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით 4 საათზე; მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში, კ ვ ი რ ა ო ბ ი თ ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. ო რ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ, საღამოს 7 საათზე, საზღვარ გარედ სტამბოლში.

ბათუმში მოდის:

ო რ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: საღამოზე, ოდესიდგან, შორის გზით. პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ, დ ი ლით, ოდესიდგან, მოკლე გზით, გამოივლის კერჩსა და ნოვოროსიისკზე. კ ვ ი რ ა ო ბ ი თ, დილით, სტამბოლიდგან.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

საფოსტო და სახალხო ოდესიდგან ორშაბათობით, დღისით.

სახალხო და საქონლისა კვირაობით, საღამოზე, ოდესიდგან. ს ა ხ ა ლ ხ ო და საქონლისა ბათუმიდგან ხუთშაბათობით, განთიადისას.

ფოთიდგან გადის:

საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, კვირაობით, დილის 8 საათზე

საფოსტო და სახალხო ორშაბათობით საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით, ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც.


# განცხადებანი

წერა-კითხვის სამმართველოში და ქართველთა ამხანაგობის მაღაზიაში ისყიდება

## ვაი მართალთა!

მოთხრობა ანტ. ფურცელაძისა, გამოცემული ზ. ჭიჭინაძისაგან, ფასი 30 კაპ.

„სიჭაბუკის ცოდვა“

ფრიად კარგი და გამოსაყენებელი წიგნია იმათთვის, ვინც დასნეულებული და დაავადებულია ონანიზმითა და თავამჯებულის ცხოვრებით.

თხზ. დ—რის ლორენცისა.

რუსულად გამოცემული დ—რ გ—ლის ძიერ.

ფასი ერთი მანათი.

ამა სასარგებლო იგნ'ში ბევრი საშუალებაა დასახელებული ზემოხსენებული მანკის შედეგის ასაცილებლად და დასნეულებულის ჯანისა და ღონის დონეზე დასაყენებლად.

წიგნი ნება-დართულია მოსკოვის საცენზურო კომიტეტის მიერ.

საწყობი იმყოფება ოტტო ასპერგერთან ლეიპციგს Otto Asperger Leipzig (საქსონიას). უცხო-ქვეყნელნი წიგნის გაგზავნის ფასს იხდიან.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ივერია“

1892 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თთვით. . . . | 10 მ.—კ. | 6 თთვით . . . . | 6 მ.—კ. |
| 11 ,, . . . . | 9 ,, 50,, | 5 ,, . . . . | 5 ,, 50,, |
| 10 ,, . . . . | 8 ,, 75,, | 4 ,, . . . . | 4 ,, 75,, |
| 9 ,, . . . . | 8 ,, —,, | 3 ,, . . . . | 3 ,, 50,, |
| 8 ,, . . . . | 7 ,, 25,, | 2 ,, . . . . | 2 ,, 75,, |
| 7 ,, . . . . | 6 ,, 50,, | 1 ,, . . . . | 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „Иверія“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

### ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოინგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

მიიღება ხელის-მოწერა

## „საქართველოს საექსარხოსოს მოამბეზე“

1892 წლის 1 იანვრიდგან.

ეს ჟურნალი არსებობს ტფილისის მართლ-მადიდებელ სასულიერო სემინარიასთან. გამოვა თთვეში ორჯელ, ჯერზედ 2-დგან $2^1/_2$ დაბეჭდილ თაბახამდე. ჟურნალი იბეჭდება რუსულს ენაზედ და ზოგიერთი წერილი ქართულადაც იბეჭდება. პროგრამმა შემდეგია:

ოფიციალური განყოფილება.

უმაღლესნი ბრძანებანი, უწმინდესის სინოდის გარდაწყვეტილებანი და დადგენილებანი და უმაღლესის სასულიერო და ადგილობრივ საეპარქიო მთავრობის განკარგულებანი. დანიშვნა და გადამყვან-გადმოყვანა საქართველოს საექსარხოსოს სასულიერო პირთა და საზოგადოდ სასულიერო უწყებაში მოსამსახურეთა.

ცნობები „კავკასიაში მართლ-მადიდებელ ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების“ **მოღვაწეობის** შესახებ და მისივე ანგარიში.

ცნობები იმის შესახებ, თუ რა მდგომარეობაშია საექსარხოსოს სასულიერო სასწავლებლები; წლიური ნუსხა, გამოცდის შემდეგ, სემინარიისა და სასულიერო სასწავლებლების მოსწავლეებისა და საეპარქიო დედათა სასწავლებლის მოსწავლე-ქალთა.

ანგარიში საეპარქიო სამოსწავლო საბჭოთა და საექსარხოსოს სასულიერო სასწავლებლის სამეურნეო ნაწილისა.

არა-ოფიციალური განყოფილება.

სიტყვანი, დარიგებანი, ქადაგებანი და ეკკლესიის გარეშე გამართულნი მოძღვრებანი.

მართლ-მადიდებელ ეკკლესიისა საზოგადოდ და საქართველო ეკკლესიისა განსაკუთრებით წმ. მამათა ცხოვრების აღწერა და სამაგალითო ამბები იმათის ცხოვრებისა.

ბიოგრაფიები და ნეკროლოგები შესანიშნავთა თანამედროვე ეკკლესიის მოღვაწეთა.

წერილები და მოთხრობები, განსაკუთრებით საქართველოს შესახებ, სარწმუნოებრივნი და საისტორიონი.

საქართველოს საექსარხოსოს საეკკლესიო ცხოვრების მატიანენი და კორესპონდენცები იმის ეპარქიებიდგან.

განმარტება ზოგიერთ ბნელ და ძნელად-ასახსნელ მღვდელ-მოქმედების დროს შეხვედრილთა საგანთა.

პასუხები და განმარტებანი სხვა-და-სხვა საქართველოს საექსარხოსოს შესახების საჟურნალო წერილებისა.

მარტივად-დაწერილი და უფრო მეტად საჭირო და სასარგებლო ცნობები სახალხო სამკურნალო მეცნიერებისანი.

სხვა-და-სხვა ცნობები და შენიშვნები. განცხადებანი.

წლით ჟურნალი ჰღირს 4 მანეთი, ნახევარ წლით 2 მან. (გასაგზავნს ხარჯს თვით რედაქცია ჰკისრულობს). ხელის მოწერა მიიღება ტფილისის მართლ-მადიდებელს სასულიერო სემინარიაში.


Дозв. ценз. Тифлисъ, 29-го Января 1892 г. სტამბა მ. შარაძისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.